Physikalisch-Technische Bundesanstalt
Braunschweig und Berlin
Nationales Metrologieinstitut

german cooperation
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

საინფორმაციო სემინარი

„ევროპული რეგულაციები ლითონის ზედაპირიანი სენდვიჩ-პანელებისთვის“

საინფორმაციო ბარათი

გერმანიის მეტროლოგიის ინსტიტუტი (Physikalisch-Technische Bundesanstalt - PTB) რეგიონალური პროექტის „ხარისხის სტანდარტები გაზრდილი ვაჭრობისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ ფარგლებში მიზნად ისახავს მხარი დაუჭიროს ხარისხის ინფრასტრუქტურის ინსტიტუტების შესაძლებელობის გაძლიერებას ისეთი მომსახურების განვითარებით, რომელიც აქტუალურია ევროპული მწვანე შეთანხმების კონტექსტში.

ამ მიზნის მისაღწევად, PTB-იმ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად საქართველოში შეარჩია სამშენებლო მასალების სექტორი, კონკრეტულად კი სენდვიჩ-პანელები, აღნიშნულ ღირებულებათა ჯაჭვში ხარისხთან დაკავშირებული გამოწვევების დასადგენად და შემდეგ მათ აღმოსაფხვრელად.

მეთოდოლოგია CALIDENA[1]-ს გამოყენებით, 2023 წლის თებერვალში თბილისში გამართული სემინარის შედეგად შემუშავებული სამოქმედო გეგმის მიხედვით, გათვალისწინებულია რიგი ქმედებების განხორციელება, რომელთა მიზანია სენდვიჩ-პანელების ღირებულებათა ჯაჭვის წარმომადგენლების (მწარმოებლების, იმპორტიორების, სამშენებლო კომპანიების) ცნობიერების ამაღლება და ამგვარად საქართველოში წარმოებული, ისევე როგორც იმპორტირებული/ბაზარზე განთავსებული სენდვიჩ-პანელების ხარისხის გაუმჯობესება.

CALIDENA-ს ფარგლებში დაგეგმილი ქმედებების განსახორციელებლად, PTB თანამშრომლობს პანელებისა და პროფილების ევროპულ ასოციაციასთან (PPA Europe) და მათ ექსპერტებთან. პირველი საინფორმაცია სემინარი, რომელსაც გაუძღვება დოქტორი რალფ პოდლეშნი, პანელებისა და პროფილების ევროპული ასოციაციის გენერალური მდივანი, ჩატარდება ონლაინ **2023 წლის 5 ივნისს** (დღის წესრიგი თანდართულია).

აღნიშნულ სემინარზე, PTB-ი სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოსთან (GeoSTM, კალიდენას პროცესის მასპინძელი ორგანიზაცია) და ქართული სამშენებლო მასალების კლასტერთან (GCMC, კალიდენას პროცესის თანამასპინძელი ორგანიზაცია) ერთად იწვევს ***სენდვიჩ-პანელების ადგილობრივ მწარმოებლებს, იმპორტიორებს, სამშენებლო კომპანიებს, საგამოცდო ლაბორატორიებისა და პროდუქტის სერტიფიცირების ორგანოების წარმომადგენლებს.*** *სემინარს ასევე შეიძლება დაესწრონ* ***GeoSTM-ის ტექნიკური კომიტეტის (TC5) წევრები, GAC[2]-ის შემფასებლები, ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს წარმომადგენლები.***

ინფორმაცია აღნიშნული სემინარის შესახებ შეგიძლიათ, ასევე, იხილოთ შემდეგ ბმულზე.

დაინტერესებულმა პირებმა **2023 წლის 30 მაისამდე** რეგისტრაცია უნდა გაიარონ შემდეგ ბმულზე.

---

[1] მეთოდოლოგია „კალიდენა“ არის მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს შერჩეულ ღირებულებათა ჯაჭვში ხარისხის წახალისებასა და გაუმჯობესებას კერძო სექტორისა და ხარისხის ინფრასტრუქტურის ინსტიტუტების მონაწილეობით. მისი მიზანია ხელი შეუწყოს განვითარებად ქვეყნებში ხარისხის ინფრასტრუქტურის სისტემატურ და მდგრად განვითარებას ღირებულებათა ჯაჭვში ხარისხთან დაკავშირებული გამოწვევების დადგენით და შესაბამისი ქმედებების განხორციელებით.

[2] აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი (GAC)